



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საბაკალავრო პროგრამა

რუსული ენა და ლიტერატურა

1. პროგრამის დასახელება: რუსული ენა და ლიტერატურა

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი რუსულ ენასა და ლიტერატურაში
BA in Russian Language and Literature

3. პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტი და სტრუქტურული

ერთეულები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სლავისტიკის
დეპარტამენტი

4. პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

• **მიზანი:** საბაკალავრო პროგრამამ „რუსული ენა და ლიტერატურა“ უნდა უზრუნველყოს რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტის მომზადება პროფესიული და კვლევითი საქმიანობისათვის, რაც დაეფუძნება ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შეძენას. პროგრამა მიზნად ისახავს, გააცნოს სტუდენტს რუსული ენის სალიტერატურო ფორმა, წარმოდგენა შეუქნას მას რუსული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციებზე; გამოუმუშაოს ბაკალავრს რუსულ ენაზე გამართულად, ენის ნორმების დაცვით მეტყველების უნარ-ჩვევები, შეუქმნას მას საფუძველი ენის სისტემისა და ენობრივი კომპეტენციების შემდგომი, სიღრმისეული შესწავლისათვის. პროგრამის მიზანია აგრეთვე რუსული ლიტერატურის ისტორიისა და ძირითადი მიმართულებების, რუს მწერალთა შემოქმედების შესწავლა.

• **შედეგები და კურსდამთავრებულთა კომპეტენციები:**

რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული:

- უნდა ფლობდეს რუსულ სალიტერატურო ენას და ჰქონდეს წარმოდგენა მის სისტემასა და მრავალფეროვნებაზე;

- უნდა იცნობდეს რუსული ენის კავშირებს სხვა ენებთან და მის ტიპოლოგიურ თავისებურებებს, მის ისტორიას, თანამედროვე მდგომარეობას და განვითარების ტენდენციებს;

- უნდა გააჩნდეს ენის ანალიზის უნარი ისტორიული და თანამედროვე მდგომარეობის კუთხით, ზოგადი ენათმეცნიერების ძირითად ცნებებსა და ტერმინებზე დაყრდნობით ენის ისტორიის ძირითად ეტაპებში ორიენტირება და თანამედროვე ენათმეცნიერების სადისკუსიო საკითხების ცოდნა;

- ლიტერატურის ცოდნა როგორც ისტორიული განვითარების, ისე თანამედროვე მდგომარეობის თვალსაზრისით, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერების, ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული მნიშვნელობის

ანალიზის უნარი საზოგადოებრივ სიტუაციასა და ეპოქის კულტურასთან კავშირში;

- უნდა იცნობდეს ლინგვისტური და ლიტმცოდნეობითი ანალიზის ძირითად მეთოდებს.

პრაქტიკული უნარები

- რუსულ ენაზე მეტყველება (როგორც ზეპირი, ისე წერიითი ფორმით) სამეტყველო სიტუაციის, კომუნიკაციური ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით;

- სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და უცხოურ ენაზე გამოყენების უნარი;

- სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი;

- მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების უნარი; ინტერნეტის სისტემაში ინფორმაციული მოძიების მეთოდების ცოდნა.

ზოგადი უნარები

პროგრამის კურსდამთავრებული იქნება უკეთ მომზადებული საზოგადოებაში მისი მომავალი როლისათვის, რაც წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და დასაქმების უკეთ შესაძლებლობაში გამოიხატება და გამოიმუშავებს იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების უნარებს; პროგრამა კურსდამთავრებულს გამოიმუშავებს სოციალურ უნარებს, რომლებიც დაკავშირებულია ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან, ჯგუფურ მუშაობასთან, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობების გამოხატვასთან; ასევე ბაკალავრი შეიძენს ახალ სიტუაციაში ადაპტირების და დამოუკიდებლად მუშაობის უნარებს.

პროფესიული საქმიანობის სფერო:

ჰუმანიტარულ მეცნიერების ბაკალავრს (სპეციალობა- რუსული ენა და ლიტერატურა) შეუძლია განახორციელოს პრაქტიკული მოღვაწეობა სახელმწიფო და არასამთავრობო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული სტრუქტურის დაწესებულებებში, სადაც საჭიროა რუსულ ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია სწავლების პირველ საფეხურზე მიღებული ცოდნის გამოყენებით, კერძოდ: საგანმანათლებლო, კულტურის, მართვის, საგამომცემლო დაწესებულებებში, საინფორმაციო საშუალებების, კულტურული ურთიერთობების, სოციალურ-ჰუმანიტარულ და ბიზნესის სფეროებში.

• პროფესიული საქმიანობის ობიექტები:

ენები (რუსული, ქართული) პრაქტიკულ, თეორიულ, შეპირისპირებით და ისტორიულ ასპექტებში; ლიტერატურა (რუსული, ქართული და უცხოური),

სხვადასხვა ქვეყნებში მისი განვითარების კანონზომიერების გათვალისწინებით.

- ძირითადი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაციის პირობები

საგანმანათლებლო ტექნოლოგიები

უნივერსიტეტში დანერგილმა საგანმანათლებლო ტექნოლოგიებმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტის სრულფასოვანი და ხარისხიანი პროფესიონალური განათლება, ფილოლოგიის დარგში პროფესიონალური კომპეტენტურობა, ჰუმანიტარული კულტურის, აზროვნების კულტურისა და მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით საკუთარი შრომის ორგანიზების უნარების დაუფლება;

ახალი ცოდნის მიღების მუდმივი შესაძლებლობა საბიბლიოთეკო ფონდების, კომპიუტერული და აუდიოვიზუალური ტექნიკის გამოყენებით.

სასწავლო პროცესის კადრებით უზრუნველყოფა

ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის რეალიზაცია ხდება აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების მეშვეობით, რომელთაც გააჩნიათ საბაზო განათლება სასწავლო კურსების პროფილის შესაბამისად და რომელნიც დაკავებულნი არიან სამეცნიერო ან მეთოდური საქმიანობით, გააჩნიათ შესაბამისი სამეცნიერო ხარისხი და მუშაობის გამოცდილება.

სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა.

ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესი უნდა იყოს უზრუნველყოფილი აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით: შესაბამისი საბიბლიოთეკო ფონდებით (წიგნადი, ციფრული), წიგნებით, სახელმძღვანელოებით, მონოგრაფიებით, ნაშრომების კრებულებით ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, პროფესიული და რეფერატული ჟურნალებით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით ლიტმცოდნეობასა და ლინგვისტიკაში, ინტერნეტ-რესურსებითა და სხვა საინფორმაციო მასალებით.

ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საბიბლიოთეკო ფონდები, მონაცემთა ბაზები, რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსებს/მოდულებს, მეთოდური დამხმარე სახელმძღვანელოები და რეკომენდაციები ყველა დისციპლინასა და მეცადინეობაში, საბაკალავრო ნაშრომისათვის საჭირო აუდიო/ვიდეო მასალები.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები: საშუალო სკოლის ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით გავლა.

6. პროგრამის სტრუქტურა:

საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი სასწავლო დისციპლინათა 5 კატეგორიას მოიცავს:

1. საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)

2. საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2 კურსი):
3. პროგრამის სავალდებულო კურსები (130 კრედიტი)
4. პროგრამის არჩევითი კურსები (3 კურსი - 15 კრედიტი)
5. თავისუფალი კრედიტები (5 კრედიტი).
6. დამატებითი სპეციალობის (Minor) დისციპლინები - 60 კრედიტი

პროგრამის სტრუქტურა

№	კურსი	სკ	ლ/პრ/ს/	კრედიტთა რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)													
1	ფილოსოფიის შესავალი	3	2.0.1	5	5								
2	ენათმეცნიერების შესავალი	3	2.0.1	5	5								
3	ლიტმცოდნეობის შესავალი	3	2.0.1	5	5								
4	კლასიკური ფილოლოგია	4	2.0.2	5	5								
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი - 2კურსი)													
1	საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (შესავალი კურსები)	3	2.0.1	5	5								
	შესავალი არქეოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
	შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	3	2.0.1	5	5								
2	საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები)	3	0.3.0	5	5								
	ინგლისური ენა	3	0.3.0	5	5								
	გერმანული ენა	3	0.3.0	5	5								
	ფრანგული ენა	3	0.3.0	5	5								
	რუსული ენა	3	0.3.0	5	5								
	ქართული ენა(უცხოელ სტუდენტთათვის)	3	0.3.0	5	5								
	სპარსული ენა	3	0.3.0	5	5								
	თურქული ენა	3	0.3.0	5	5								

	არაბული ენა	3	0.3.0	5	5								
პროგრამის სავალდებულო კურსები (130 კრედიტი)													
1	თანამედროვე რუსული ენა 1	6	0.6.0	10		10							
2	თანამედროვე რუსული ენა 2	6	0.6.0	10			10						
3	თანამედროვე რუსული ენა 3	6	0.6.0	10				10					
4	თანამედროვე რუსული ენა 4	6	0.6.0	10					10				
5	თანამედროვე რუსული ენა 5	4	0.4.0	5						5			
6	თანამედროვე რუსული ენა 6	4	0.4.0	5							5		
7	თანამედროვე რუსული ენა 7	5	0.4.0	5								5	
8	ქვეყანათმცოდნეობა	2	1.0.1	5		5							
9	ისტორიული გრამატიკა	2	1.0.1	5					5				
10	თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები 1	2	1.0.1	5						5			
11	თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები 2	3	2.0.1.	5							5		
12	სლავური ენების შედარებითი გრამატიკა	2	1.0.1	5								5	
13	ქართულ-რუსული ენების შედარებითი გრამატიკა	2	1.0.1.	5									5
14	სლავური ლიტერატურები	3	1.0.2	5		5							
15	რუსული ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებები	3	1.0.2	5			5						
16	ძველი და XVIII ს. რუსული ლიტერატურის ისტორია	2	1.0.1	5				5					
17	XIX ს I ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2	5					5				

18	XIXს II ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია	3	1.0.2	5						5			
19	XIX- XX ს. მიჯნის რუსული ლიტერატურის ისტორია	2	1.0.1	5							5		
20	თანამედროვე რუსული ლიტერატურა	2	1.0.1	5								5	
21	ზოგადი ენათმეცნიერება	3	2.0.1	5						5			
22	ქართული ენა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5							
23	ქართული ლიტერატურა	1.5	1. 0. 0.5.	2.5		2.5							
პროგრამის არჩევითი კურსები (15 კრედიტი – 3 კურსი)													
1	არჩევითი კურსი - 1	3	2.0.1			5							
1.1	პოლონური ენა												
1.2	მხატვრული ტექსტის ანალიზი												
2	არჩევითი კურსი – 2	2	0.2.0.				5						
2.1	თარგმანის თეორია და პრაქტიკა												
2.2	რუსული სალიტერატურო ენის ისტორია												
3	არჩევითი კურსი - 3	2	0.2.0								5		
3.1	რუსული ლიტერატურის კრიტიკა												
3.2	ფოლკლორი												
	თავისუფალი კრედიტები	3		5				5					
	დამატებითი სპეციალობის (Minor) კრედიტები			60			10	10	10	10	10	10	10
	სულ			240	30	30	30	30	30	30	30	30	30

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება: სკ - საათი კვირაში ღ/პ/ს/ღაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიული

7. სასწავლო კურსების ანოტაციები

საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (20 კრედიტი)

კურსის კოდი: SFB0500

კურსის დასახელება: **ფილოსოფიის შესავალი (5კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: კულტურის, რელიგიის, ფილოსოფიის პრობლემატიკა, აზროვნების ზოგადი კანონზომიერებები, შემეცნების თეორია, ღირებულებების, რწმენის, თავისუფლების საკითხები. ანტიკური ფილოსოფიის მიმოხილვა, შუა საუკუნეებისა და აღორძინების ეპოქის იდეალები, მეცნიერული პროგრესის იდეა ახალ დროში, თანამედროვე აზროვნება და პოსტმოდერნული სიტუაციის ანალიზი.

კურსის კოდი: HLB0110

კურსის დასახელება: **ენათმეცნიერების შესავალი (5 კრედიტი).**

ენათმეცნიერების შესავლის კურსი იკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის პირველ წელს. კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები, ჩამოუყალიბოს დისციპლინისათვის არსებითი ტერმინოლოგიური ბაზა, შეასწავლოს ენათმეცნიერების ყველა დარგის საფუძვლები. კურსი გულისხმობს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს.

კურსის კოდი: HGB0230

კურსის დასახელება: **ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი (5 კრედიტი).**

ლიტერატურისმცოდნეობის შესავლის კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ლიტერატურისმცოდნეობის პროპედევტიკა, ლიტერატურისმცოდნეობა და მისი ძირითადი დარგები, მონათესავე და დამხმარე დისციპლინები, პოეტიკის განვითარების ეტაპები; ლიტერატურა და ხელოვნება; ხელოვნების დარგები; ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი და ფორმა; თემა, იდეა, მიზამდასახულობა; ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიცია და სიუჟეტი; პერსონაჟთა კლასიფიკაცია; ადამიანთა სახეები გამოსახვის მეთოდის მიხედვით; მხატვრულ სახეთა შექმნის საშუალებები. დახასიათების სახეები; მწერლის ენა და პერსონაჟის ენა, პოეტური ლექსიკა, ტროპის სახეები, პოეტური სინტაქსის ფიგურები; ლექსი და პროზა (განსხვავება). რითმა და მისი სახეები; ლექსის მთავარი ზომები (ტერფის სახეები). ლექსთწყობის სისტემები. ლექსის მთავარი სქემები (ქართული, ევროპული, აღმოსავლური). ლიტერატურის გვარებად და ჟანრებად ჩამოყალიბება: ეპიკური, ლირიკული და დრამატული ჟანრები.

კურსის კოდი: HAB0390

კურსის დასახელება: **კლასიკური ფილოლოგია (5 კრედიტი).**

კურსის მიზანია ანტიკური ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა ანტიკურობის ინტელექტუალურ და სოციალურ კონტექსტში, ლათინური ენის შესწავლა, მისი ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ეტაპების განხილვა ინდოევროპული ენათმეცნიერების ჭრილში, ანტიკური კულტურის, როგორც ევროპული და გარკვეულწილად, თანამედროვე მსოფლიო კულტურის განხილვა კვლევის თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით. ჟანრის ფორმირებისა და განვითარების კანონზომიერებისა თუ თავისებურებების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ჰომეროსის, ჰესიოდეს, აპოლონიოს როდოსელის, ვირგილიუსის, ოვიდიუსის, საფოს და სხვათა შემოქმედებას, ანტიკური და პოსტანტიკური კონცეფციების შედარებით განხილვას.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი I (5 კრედიტი) (შესავალი კურსები)

კურსის კოდი: HAB0380

კურსის დასახელება: **შესავალი არქეოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: არქეოლოგია, როგორც მეცნიერების დარგი (საგანი, მიზანი და ამოცანები); ხელოვნების ძეგლთა და სიძველეთა დაგროვება-კოლექციონირება; არქეოლოგიურ ძეგლთა დაცვა და სამუზეუმო კოლექციები; ნივთიერი კულტურა-არქეოლოგიის ძირითადი წყარო (კერამიკა, ლითონები, მინა, ქვა...); არქეოლოგია თანამედროვე მეცნიერებათა სისტემაში; არქეოლოგია და დამხმარე დისციპლინები (ნუმისმატიკა, ეპიგრაფიკა, გლიპტიკა); ეთნოარქეოლოგიური კვლევა; არქეოლოგია და ჰუმანიტარული მეცნიერებები (კლასიკური ფილოლოგია; ისტორია, ანთროპოლოგია, ეთნოლოგია, ხელოვნების და კულტურის ისტორია); არქეოლოგია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები (პალეოანთროპოლოგია, პალეობოტანიკა, პალეობიოლოგია, პალეოეკოლოგია); არქეოლოგია და სინფორმაციო ტექნოლოგიები; წერილობითი წყაროები და არქეოლოგია; არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია; კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია.

კურსის კოდი: HIB0791

კურსის დასახელება: **შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში (5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის და ისტორიის ცნება; აღმოსავლეთმცოდნეობის, როგორც კომპლექსური მეცნიერების ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესწავლის საგანი და მიზენი; სემიტოლოგიის, თურქოლოგიისა და ირანისტიკის სკოლების ტრადიციები საქართველოში; აღმოსავლური ფილოლოგიისა და ისტორიის კვლევის ძირითადი მიმართულებები და მათი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის. მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ძირითადი ლიტერატურული ტენდენციები; ქართულ-აღმოსავლური ენობრივი და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები.

კურსის კოდი:HLB0541

კურსის დასახელება: **შესავალი ქართულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი).**

კურსი შედგება ორი ნაწილისაგან: შესავალი ქართულ ენაში და შესავალი ქართულ ლიტერატურაში. ქართული ლიტერატურის პროპედევტიკულ კურსში სტუდენტებს ლექციები წაეკითხებათ შემდეგ საკითხებზე: ქართული მწერლობის განვითარების უმთავრესი პერიოდები და ძირითადი ტენდენციები უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე, „ვეფხისტყაოსნის“ როლისა და ადგილისათვის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, ლიტერატურული დაჯგუფებანი და ძირითადი მიმდინარეობანი ქართულ მწერლობაში, ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ მწერალთა შემოქმედება, ქართული კულტურისა და მწიგნობრობის კერები საქართველოსა და უცხოეთში... აღნიშნული საკითხები შესწავლილ იქნება მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან კონტექსტში. კურსის შესწავლის წინაპირობას წარმოადგენს სასკოლო განათლება.

კურსის მეორე ნაწილი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HEB0241

შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ინგლისური ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; ინგლისური ფილოლოგიის ძირითადი ასპექტები, ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების ზოგადი აღწერილობა მოდულური სწავლების სისტემის სპეციფიკის გათვალისწინებით: თითოეული ასპექტისა და ინგლისური ენის გრამატიკის საფუძვლების აღწერა; ინგლისური ენის თეორიული კურსების მიზნებისა და ამოცანების ზოგადი დახასიათება; ინგლისურ ენაზე საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების მიხედვით საკურსო და სადიპლომო ნაშრომის შესრულების ტექნოლოგიების სწავლება;

კურსის ასევე მიზნად ისახავს მიაწოდოს სტუდენტს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ინგლისური ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავოს მას ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0511

შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; გერმანული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები; აღნიშნულ კურსში ისწავლება ცალკეული საკითხები გერმანული ენის მორფოლოგიიდან და სინტაქსიდან, ასევე შესასწავლი ენის ზოგიერთი მომენტი ენის ისტორიიდან: მაგ., გერმანული ენის წარმოშობის ისტორიული პირობები, გერმანიკულ ენათა ოჯახი, გერმანიკული ტომები, გერმანული დიალექტები, გერმანული ენის ეროვნული ვარიანტები, გერმანული ენის არსებობის ფორმები, საშუალო გერმანულის ზოგადი დახასიათება, ადრეული

ახალი გერმანულის ზოგადი დახასიათება; ლიტერატურული ენის ფორმირების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები, საკითხები ენის ლექსიკური მარაგის შევსებისა და გამდიდრებისათვის.

ამასთანავე, კურსი სტუდენტს მიაწვდის ზოგადი ხასიათის ინფორმაციას გერმანული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ; გამოუმუშავებს მას ფილოლოგისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HFB0611

კურსის დასახელება: **შესავალი რომანულ ფილოლოგიაში** (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოლოგიის ცნება; ფილოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები; ფრანგული ფილოლოგიის, როგორც დარგის, შესწავლის საგანი და მიზნები;

აღნიშნულ კურსში ზოგადად ისწავლება ენის თეორიის საწყისი ცნებები ფრანგული ენის მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური სისტემების ზოგადი დახასიათების საშუალებით. კურსის მიზანია აგრეთვე კურიკულუმით გათვალისწინებული შესასწავლი ენობრივი ასპექტების მიმოხილვა. შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში ითვალისწინებს აგრეთვე სტუდენტისათვის ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებას ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი ეტაპებისა და ტენდენციების შესახებ;

კურსის მიზანია, სტუდენტს ჩამოუყალიბოს ფილოლოგიის უნარ-ჩვევები (ბიბლიოთეკაში მუშაობა, რეფერატის დაწერა, რეფერატის, სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური გაფორმების წესები).

კურსის კოდი: HSB0361

კურსის დასახელება: **შესავალი სლავურ ფილოლოგიაში** (5 კრედიტი).

ფილოლოგიის, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერების განსაზღვრა. სლავური ფილოლოგიის სპეციფიკა და განვითარების ეტაპები. წამყვანი სკოლებისა და პერსონალების დახასიათება. ლიტერატურის, როგორც მეცნიერებისა და სიტყვის ხელოვნების ადგილი რუსული კულტურის ისტორიაში.

შესავალი სლავურ ფილოლოგიაში (ენა) აცნობს სტუდენტებს სლავური ენების ადგილს სხვა ევროპულ ენებს შორის, აგრეთვე აძლევს წარმოდგენას მათ ფონეტიკური და გრამატიკული სპეციფიკის შესახებ.

კურსი ეყრდნობა სტუდენტის მიერ სკოლაში მიღებულ ცოდნას. მისი შესწავლა ხდება მომიჯნავე დისციპლინების - კლასიკური ფილოლოგიისა და ენათმეცნიერების შესავლის პარალელურად.

საფაკულტეტო არჩევითი კურსი II (ენები) (5 კრედიტი)

კურსის კოდი: HEB0051

ინგლისური ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს ინგლისური ენის ოთხივე ასპექტის – წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, ჰენდაუტების, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის კოდი: HFB0071

გერმანული ენა (5 კრედიტი)

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას გერმანული ენის ზეპირ და წერით მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HFB0341

კურსის დასახელება: **ფრანგული ენა (5 კრედიტი)**.

კურსის სტატუსი არის არჩევითი და ეყრდნობა სასკოლო განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებს. ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს საბაზისო ცოდნას ფრანგული ენის ზეპირ და წერით მეტყველებაში. სწავლებისას კომპლექსურად ხდება სხვადასხვა უნარებზე მუშაობა, გრამატიკის საფუძვლების უცხო ენაზე თეორიულად და პრაქტიკულად დამუშავება, მარტივი აუტენტური დიალოგების მოსმენა და გაგება, წერილობით ელემენტარული ორთოგრაფიული ნორმების გაცნობა და მარტივი კარნახების შესრულება. კურსში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის ქვეყნისმცოდნეობითი მოკლე ინფორმაციების (კლიშეები, რეალიები) გაცნობა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ელემენტარული საუბარი, მარტივი, ადაპტირებული ტექსტის გაგება და დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ტესტის შესრულება.

კურსის კოდი: HSB0291

კურსის დასახელება: **რუსული ენა (5 კრედიტი)**.

რუსული ენის სწავლების ლინგვისტურ კურსში სტუდენტის ლინგვისტურ გა მეთოდური დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს დაეხმაროს სტუდენტს

რუსული ზეპირი და წერითი მეტყველების განვითარებასა და სრულყოფაში, ორთოგრაფიისა და ორთოეპიის სფეროში არსებული ცოდნის კორექტირებაში, გაღრმავებასა და აქტივიზაციაში. კურსში შესწავლილი იქნება: რუსული ენის ძირითადი ორთოგრაფიული ნორმები და მოხდება წერის დროს მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; რუსული ენის ძირითადი ორთოეპიული ნორმები და ზეპირი მეტყველების დროს მათი სწორად გამოყენება; მოხდება რუსულ ენაზე მარტივი ტექსტების კითხვის, თარგმნის, გაგების, ანალიზის, გადმოცემის უნარის განვითარება

კურსის კოდი: HIB0031

კურსის დასახელება: არაბული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატერბითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0021

კურსის დასახელება: თურქული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს თურქული ენის ანბანის, კითხვის და წარმოთქმის წესების შესწავლას, უმარტივესი ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

კურსის კოდი: HIB0011

კურსის დასახელება: სპარსული ენა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს არაბული ანბანის, კალიგრაფიის ტექნიკის (ასოთა მოხაზულობა, გადაბმა და ა. შ.), დამატერბითი ნიშნების, კითხვისა და წარმოთქმის წესების შესწავლას; უმარტივესი გახმოვნებული ფრაზების, ტექსტებისა და დიალოგების კითხვას, გაგებასა და გადმოცემას.

პროგრამის სავალდებულო კურსები

კურსის კოდი: HSB0120

კურსის დასახელება: თანამედროვე რუსული ენა 1 (10 კრედიტი).

კურსი მოიცავს რუსული ენის სხვადასხვა ასპექტს – წერითი მეტყველების განვითარება (ორთოგრაფია), ზეპირი მეტყველების განვითარება, ორთოეპია. კურსში შესწავლილი იქნება: რუსული ენის ძირითადი ორთოგრაფიული ნორმები და მოხდება წერის დროს მათი სწორად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება; რუსული ენის ძირითადი ორთოეპიული ნორმები და ზეპირი მეტყველების დროს მათი სწორად გამოყენება; მოხდება რუსულ ენაზე მარტივი ტექსტების კითხვის, თარგმნის, გაგების, ანალიზის, გადმოცემის უნარის განვითარება.

კურსის კოდი: HSB0130

კურსის დასახელება: თანამედროვე რუსული ენა 2 (10 კრედიტი).

კურსი მოიცავს რუსული ენის სხვადასხვა ასპექტის – პრაქტიკული გრამატიკა, მეტყველების განვითარება, ინტენსიური კითხვა – კომპლექსურ სწავლებას;

გრამატიკული მასალა: კომუნიკაციური ერთეულების მორფოლოგიური და ლექსიკური გამოხატვა; სიტყვათწარმოების წესები, საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 1

კურსის კოდი: HSB0140

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენა 3 (10 კრედიტი).**

კურსი მოიცავს ენის ოთხივე ასპექტის — პრაქტიკული გრამატიკა, მეტყველების განვითარება, ინტენსიური კითხვა – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, კომუნიკაციური ერთეულების მორფოლოგიური და ლექსიკური გამოხატვა; საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის აღქმა და ანალიზი, საუბრის დიალოგური და მონოლოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება. ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა, აუდიო-ვიდეო მასალების, უახლესი სახელმძღვანელოების გამოყენება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 2

კურსის კოდი: HSB0150

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენა 4 (10 კრედიტი).**

კურსი მოიცავს ენის ოთხივე ასპექტის – პრაქტიკული გრამატიკა, მეტყველების განვითარება, ანალიზური კითხვა – კომპლექსურ სწავლებას; გრამატიკული მასალა: სიტყვათწარმოების წესები, კომუნიკაციური ერთეულების მორფოლოგიური და ლექსიკური გამოხატვა; საყოველთაოდ მიღებული წერილობითი ნორმები, მოსმენილი მასალის ანალიზი, საუბრის დიალოგური ფორმით წარმართვა, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულება, მაღალი დონის ადაპტირებული ტექსტის გაგება და მისი პერიფრაზირება, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარება, ზეპირი და წერითი უნარ-ჩვევების განვითარება სწავლების თანამედროვე მეთოდების საშუალებების სასწავლო პროცესში ჩართვა, სააუდიტორიო, კლასგარეშე და ინდივიდუალური შეთავსებითი ხასიათის მუშაობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 3

კურსის კოდი: HSB0160

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენა 5 (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს პრაქტიკული გრამატიკისა და ანალიზური კითხვის შესწავლას. რურსი I ტვალისწინებს: კომუნიკაციური გრამატიკის საფუძვლების, კომუნიკაციური ერთეულების მორფოლოგიური და ლექსიკური გამოხატვის

ტიპების გაცნობას, მოსმენილი მასალის ანალიზს, საუბრის დიალოგური ფორმით წარმართვას, კითხვითი ტიპის დავალებების შესრულებას, მაღალი დონის ადაპტირებული ტექსტის გაგებასა და მის პერიფრაზირებას, თხრობის უნარ-ჩვევების განვითარება, მხატვრული ტექსტის კითხვასა და ინტერპრეტაციაში - XIX - XX საუკუნეების ცნობილი რუსი მწერლების ნაწარმოებების ტექსტების კომენტირებულ კითხვას, მათი ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის სიღრმისეულ და ადეკვატურ გაგებას, ენის ექსპრესიული საშუალებისა და სტილისტური ხერხების თეორიულ ცოდნას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 4

კურსის კოდი: HSB0170

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენა 6 (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს პრაქტიკული გრამატიკის, ანალიზური კითხვის, ტექსტის ინტერპრეტაციის, შემოქმედებითი წერის, მხატვრული ტექსტის კითხვის, პრესის ენის, ანოტირება-რეფერირების შესწავლას.

კომუნიკაციური გრამატიკის საფუძვლები: კომუნიკაციური ერთეულების მორფოლოგიური და ლექსიკური გამოხატვა; დამოკიდებული წინადადებების ტიპების შექმნა. საგაზეთო სტატიების წაკითხვა ორიგინალში და მათი ინტერპრეტაცია რუსულიდან ქართულად და პირიქით.

მხატვრული ტექსტის კითხვაში XIX - XX საუკუნეების ცნობილი რუსი მწერლების ნაწარმოებების ტექსტების კომენტირებულ კითხვას, მათი ესთეტიკურ-შემეცნებითი ინფორმაციის სიღრმისეულ და ადეკვატურ გაგებას, ენის ექსპრესიული საშუალებისა და სტილისტური ხერხების თეორიულ ცოდნას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 5

კურსის კოდი: HSB0180

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენა 7 (5 კრედიტი).**

კურსი მოიცავს რუსული ენის ფუნქციონალური სტილისტიკის საფუძვლებს, შემოქმედებით წერას. ჭემოქმედებით წერაში პარაგრაფის წერის სტრუქტურის, თეზისის ჩამოყალიბება, პარაგრაფთა ლოგიკური გადაბმა და იდეები სწორად ორგანიზება თხზულების დაწერის პროცესში. რუსული ენის ფუნქციონალური სტილისტიკაში სხვადასხვა ჟანრისა და სტილისტიკური სფეროს ტექსტების თავისებურებების დადგენა, წაკითხულ მასალაზე დისკუსიის წარმართვა, ტექსტის კრიტიკული განხილვა, პირადი მოსაზრების ნათლად გამოხატვა და დებატებში მონაწილეობა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 6

კურსის კოდი: HSB0060

კურსის დასახელება: **ქვეყანათმცოდნეობა (5 კრედიტი).**

კურსის მიზანია გაარკვიოს ბაკალავრები ლინგვოქვეყანათმცოდნეობით პრობლემატიკაში: რუსული ენის განვითარების ეტაპები ისტირის, გეოგრაფისა და რელიგიასთან მიმართებაში, გამოუმუშავოს მათ ქვეყანათმცოდნეობითი და ლინგვოქვეყანათმცოდნეობითი ასპექტების ერთმანეთში განსხვავების უნარი, მოახდინოს ბაკალავრთა სამეტყველო აზროვნების განვითარება, უზრუნველყოს გადასვლა მასალის ინფორმაციულ დონეზე გადმოცემის უნარ-

ჩვევიდან საკუთარი აზრების, კონცეფციების, თვალსაზრისის თავისუფლად ჩამოყალიბების უნარ-ჩვევამდე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი შესავალი სლავურ ფილოლოგიაში

კურსის კოდი: HSB0020

კურსის დასახელება: **ისტორიული გრამატიკა (5 კრედიტი).**

რუსული ენის ისტორიული გრამატიკის კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს სლავ ხალხთა ენობრივი ნათესაობა, მათი წიგნობრივი კულტურის საწყისები, რუსული ენის ფონეტიკისა და გრამატიკის ისტორიული განვითარების საკითხები. კურსში განიხილება პრასლავური ენის მოკლე დახასიათება და რუსული ენის განვითარების ძირითადი ეტაპები, ისტორიული პროცესები, რომლებიც განსაზღვრავენ რუსული ენის თანამედროვე მდგომარეობას. რუსული ენის ისტორიული გრამატიკის კურსის შესწავლის დროს მიღებული ცოდნა გამოადგება სტუდენტებს საამეცნიერო ბაზად თანამედროვე რუსული ენის შესწავლისას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი შესავალი სლავურ ფილოლოგიაში

კურსის კოდი: HSB0190

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები 1 (ლექსიკოლოგია, სატყვათწარმოება) (5 კრედიტი).**

კურსის მიზანია მიაწოდოს სტუდენტებს ყველა საჭირო ინფორმაცია რუსული ენის ლექსიკოლოგიისა და სიტყვათწარმოების ძირითადი საკითხები, მათი შესწავლის აქტუალური პრობლემები. კურსში განიხილება ლექსიკური სისტემის თავისებურებები, ლექსიკური ერთეულების პარადიგმატიკული კავშირები; სიტყვათწარმოების ერთეულები, მორფემათა ტიპები და სიტყვათწარმოების ძირითადი საშუალებები და გზები თანამედროვე რუსულ ენაში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 1, თანამედროვე რუსული ენა 2, თანამედროვე რუსული ენა 3, თანამედროვე რუსული ენა 4

კურსის კოდი: HSB0200

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები 2 (მორფოლოგია და სინტაქსი) (5 კრედიტი).**

კურსი მიზნად ისახავს მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია რუსული ენის სისტემის, მისი ერთეულებისა და მათი სისტემური კავშირების შესახებ. განიხილება რუსული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის აქტუალური პრობლემები, ენობრივი დონეების ადგილი მთლიან სისტემაში, თანამედროვე მიდგომა მეტყველების ნაწილების გრამატიკული ფორმების, მნიშვნელობებისა და კატეგორიების კლასიფიკაციისა და ანალიზის საკითხებისადმი. განიხილება აგრეთვე თანამედროვე რუსული ენის სინტაქსის აქტუალური საკითხები: წინადადების კომუნიკაციური ტიპები, სინტაქსური ერთეულების (მათ შორის გარდამავალი ტიპის) კლასიფიკაცია და დახასიათება, სინტაქსური კავშირის

ტიპები, ცვლილებები, რომლებიც დამახასიათებელია რუსული ენის სინტაქსისათვის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენის აქტუალური პრობლემები 1 (ლექსიკოლოგია, სატყვათწარმოება)

კურსის კოდი: HSB0100

კურსის დასახელება: **სლავური ენების შეპირისპირებითი გრამატიკა (5 კრედიტი).**

სლავური ენების შეპირისპირებითი გრამატიკის საგანი წარმოადგენს ყველა თანამედროვე სლავური ენის სხვადასხვა ტენდენციის ანალიზს ენათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე. კურსში აღნიშნულია ბალტიური და სლავური ენების საერთო ლინგვისტური მოვლენები. სტუდენტები შეისწავლიან სლავური ენების თანამედროვე კლასიფიკაციას; დაამუშავებენ ტექსტებს.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ისტორიული გრამატიკა, შესავალი სლავურ ფილოლოგიაში

კურსის კოდი: HSB0050

კურსის დასახელება: **ქართულ-რუსული ენების შედარებითი გრამატიკა (5 კრედიტი).**

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციფიკა განსაზღვრავს შეპირისპირებითი გრამატიკის კურსის შესწავლის აუცილებლობას, მის შინაარსს, მიზნებსა და ამოცანებს. მოცემული დისციპლინა მიზნად ისახავს სტუდენტისათვის მშობლიური და რუსული ენების სტრუქტურისა და ფუნქციური თავისებურებების შეპირისპირების უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რუსული ენის სპეციფიკის გააზრებას ქართულთან მისი შედარების საფუძველზე.

კურსის სწავლებისას განიხილება შემდეგი საკითხები: კონტრასტივიკის განვითარების ისტორია, ენათა ტიპოლოგიური შესწავლა, შეპირისპირებითი მორფოლოგია, მეტყველების ნაწილები რუსულ და ქართულ ენებში, უნივერსალები და სპეციოფიკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი თანამედროვე რუსული ენა 1, თანამედროვე რუსული ენა 2, თანამედროვე რუსული ენა 3, თანამედროვე რუსული ენა 4, თანამედროვე რუსული ენა 5, თანამედროვე რუსული ენა 6, ენათმეცნიერების შესავალი, ქართული ენა

კურსის კოდი: HSB0110

კურსის დასახელება: **სლავური ლიტერატურები (5 კრედიტი).**

კურსში განიხილება სლავური ლიტერატურები (დასავლეთ და აღმოსავლეთ სლავები), მათი ურთიერთობები ერთმანეთთან და ევროპულ ლიტერატურასთან. განიხილება აგრეთვე სლავურ და ქართულ ლიტერატურათა ურთიერთკავშირის საკითხი. შესწავლილი იქნება ძირითადი ლიტერატურული მიმართულებები: რომანტიზმი (ა.პუშკინი,მ.ლერმონტოვი, ა. მიცკევიჩი,კვიტკა-ოვსიანენკო,ტულაკ-არტემოვსკი), რეალიზმი (ტ. შევჩენკო,

ლ. უკრაინკა, ფ. დოსტოევსკი, ლ. ტოლსტოი, ი. ტურგენევი, ბ. პრუსი, გ. სენკევიჩი და სხვ.), მოდერნიზმი (ს. ფშებიშევსკი). ამ კურსის შესწავლა დაეხმარება სტუდენტებს ორენტირებაში სლავური ლიტერატურების ძირითად საკითხებში.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ლიტმცოდნეობის შესავალი

კურსის კოდი: HSB0070

კურსის დასახელება: **რუსული ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებები (5 კრედიტი).**

კურსი მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტებს რუსული ლიტერატურის ძირითად მიმართულებათა (კლასიციზმი, რომანტიზმი, რეალიზმი, თანამედროვე მიმართულებები) მოკლე თეორიული მიმოხილვა. პარალელურად ხდება მიმართულებების მიხედვით საუკეთესო მხატვრული ნიმუშების განხილვა მათი ჟანრული თავისებურებების გათვალისწინებით.

კურსი ეყრდნობა პირველ კურსზე და შესწავლილ დისციპლინებს: ლიტმცოდნეობის შესავალს და შესავალს სლავურ ფილოლოგიაში.

კურსის კოდი: HSB0270

კურსის დასახელება: **რუსული ლიტერატურის ისტორია (ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია, XVIII საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორია) (5 კრედიტი).**

ძველი რუსული ლიტერატურის ისტორია თავისი სპეციფიკური ნიშნებით განსხვავდება მე-18, მე-19, მე-20 საუკუნეების ლიტერატურებისაგან. იგი მოიცავს შვიდი საუკუნის პერიოდის ლიტერატურულ ძეგლებს (11 - 17 სს.), რომლებიც ძირითადად საეკლესიო ხასიათისაა. აგრეთვე ხვდება საერო ხასიათის ნაწარმოებების, პუბლიცისტიკის, „ცხოვრებანის“ და ისტორიული ჟანრების ევოლუცია, საყოფაცხოვრებო მოთხრობები, სატირა, ვირში, დრამა. კურსის უკეთ ათვისებისათვის საჭიროა ზოგიერთი საკითხის გაშუქება კულტურის (მუსიკის, მხატვრობის) კონტექსტში.

XVIII საუკუნის რუსული ლიტერატურის კურსი მიზნით ისახავს გააცნოს სტუდენტებს ამ პერიოდის სპეციფიკა: კავშირი წინა პერიოდის ლიტერატურასთან, კავშირი ფოლკლორთან, რუსული ლიტერატურის პირველ მხატვრულ მიმართულებათა და ჟანრების წარმოქმნა, სალიტერატურო ენის მნიშვნელოვანი განვითარება, ეროვნული თეატრის ჩამოყალიბება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი ლიტმცოდნეობის შესავალი, სლავური ლიტერატურები

კურსის კოდი: HSB0250

კურსის დასახელება: **XIX ს. I ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი).**

მე-19 საუკუნის I ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორიის კორიფეების - ა. გრიბოედოვის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის და ნ. გოგოლის შემოქმედების შესწავლა მოხდება კულტურის კონტექსტში (მუსიკა, მხატვრობა, თარგმანი).

განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში იქნება ის მხატვრული ტექსტები, რომლებიც ასახავს საქართველოს (მუსიკას, ხალხის ყოფაცხოვრებას, კულტურას). ა.გრიბოედოვის შემოქმედებიდან:“ვაი ჭკუისაგან“; ა.პუშკინის შემოქმედებიდან:პოემები (2-3), „ევგენი ონეგინი“(რომანი ლექსად),ტრაგედია „ბორის გოდუნოვი“, პროზა - „ბელკინის მოთხრობები“, „პიკის ქალი“, „კაპიტანის ქალიშვილი“; მ.ლერმონტოვი: პოემები „მწირი“, „დემონი“, რომანი „ჩვენი დროების გმირი“; ნ.გოგოლი: მოთხრობების კრებული „მირგოროდი“, „პეტერბურგული მოთხრობები“, კომედია „რევიზორი“, კომედია „რევიზორი“, პოემა „მკვდარი სულები“.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი რუსული ლიტერატურის ისტორია (მველი რუსული ლიტერატურის ისტორია, XVIII საუკუნის რუსული ლიტერატურის ისტორია)

კურსის კოდი: HSB0260

კურსის დასახელება: **XIX საუკუნის (II ნახევრის) რუსული ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი).**

XIX საუკუნის (II ნახევრის) რუსული ლიტერატურის ისტორია - ერთ-ერთი ძირითადი კურსია სტუდენტთა ფილოლოგიური მომზადების პროცესში. მასში განიხილება XIX საუკუნის II ნახევრის ლიტერატურული პროცესი, რუსი მწერლების: გერცენის, ტურგენევის, გონჩაროვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ოსტროვსკის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვის შემოქმედება. კურსი აიგება მიმოხილვითი და მონოგრაფიული ლექციების მონაცვლეობა-შერწყმის საფუძველზე,

ლიტერატურული პროცესი წარმოდგენილია ისტორიულ ფონზე. განიხილება მხატვრული ნაწარმოებების ჟანრული თავისებურებები, სტილი.

გათვალისწინებულია კავშირი რუსული ლიტერატურის სხვადასხვა პერიოდებთან, ლიტერატურის თეორიისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის კურსებთან.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი XIX ს. I ნახევრის რუსული ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HSB0240

კურსის დასახელება: **XIX - XX სს. მიჯნის რუსული ლიტერატურის ისტორია (5 კრედიტი).**

კურსი რუსული ლიტერატურის XIX - XX სს. მიჯნის ისტორია იძლევა წარმოდგენას რუსული ლიტერატურის სხვადასხვა მიმართულების, ავტორთა შემოქმედებითი ძიებების, იდეოლოგიური პარადიგმის შეცვლის შესახებ (მ.გორკი, ლ.ანდრეევი, ი.ბუნინი, ა.კუპრინი, ა.ბლოკი, ბ.ბრუსოვი, ა.ხმატოვა). გათვალისწინებულია XIX საუკუნის რუსული ლიტერატურის ტრადიციები. სტუდენტებს ეძლევათ წარმოდგენა „ვერცხლის საუკუნეზე“. ყურადღება გამახვილებულია მოდერნისტულ მიმდინარეობებზე და კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა შემოქმედებაზე.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი XIX საუკუნის (II ნახევრის) რუსული ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HSB0210

კურსის დასახელება: **თანამედროვე რუსული ლიტერატურა (5 კრედიტი).**

კურსის მიზანია გააცნოს სტუდენტებს თანამედროვე ლიტერატურაში მიმდინარე პროცესები. გაანალიზებული იქნება, როგორც ბოლო წლების სალიტერატურო ასპარეზზე გამოსულ ავტორთა (ვ. მაკანიანი, ბ. პელევინი, ტ. ტოლსტაია. ლ. ულიცკაია) შემოქმედება, აგრეთვე ფართო საზოგადოებისათვის უკვე ცნობილ მწერალთა (ე. ზამიატინი, ა. პლატონოვი, მ. ბულგაკოვი, ვ. ტრიფონოვი, ვ. ასტაფიევი, ვ. რასპუტინი) ნაწარმოებები. კონკრეტული მაგალითების მოხმობის მეშვეობით წარმოჩენილი იქნება თანამედროვე პროცესების მიმართება მრავალსაუკუნოვან რუსულ ლიტერატურის ტრადიციებთან.

კურსის შესწავლის წინაპირობაა კურსი XIX - XX სს. მიჯნის რუსული ლიტერატურის ისტორია

კურსის კოდი: HLB0020

კურსის დასახელება: **ზოგადი ენათმეცნიერება (5 კრედიტი).**

ზოგადი ენათმეცნიერების კურსი ეკითხება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის ფილოლოგიური სპეციალობების მეოთხე კურსის სტუდენტებს. კურსი მოიცავს ორ სფეროს: ენათმეცნიერების ისტორიისა და ენათმეცნიერების თეორიის საკითხებს. გათვალისწინებულია ყველა ძირითადი საენათმეცნიერო სკოლისა და თეორიული მიმდინარეობის დებულებების გაცნობა. ამასთანავე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენათა შესწავლისა და აღწერის მეთოდების დაუფლებასა და პრაქტიკულ აპრობაციას, ასევე ძირითადი სამეცნიერო პუბლიკაციების დამუშავებას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ენათმეცნიერების შესავალი

კურსის კოდი: HLB0010

კურსის დასახელება: **ქართული ენა (2, 5 კრედიტი)**

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ქართველი ერის ისტორიული განვითარების გზა, ქართული ენის წარმოშობა და მისი თეორიები, ქართული ენის ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში, ქართული დამწერლობის წარმოშობა, განვითარების ეტაპები, ქართული ენის ურთიერთობა სხვა ენებთან, დიალექტები და ურთიერთობა სალიტერატურო ენასთან, ქართული ენის ნორმირების საკითხები.

კურსის კოდი: HGB0180

კურსის დასახელება: **ქართული ლიტერატურა (2, 5 კრედიტი)**

აღნიშნული კურსის შესწავლა სტუდენტს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის ქართული მწერლობის სამივე პერიოდის (ძველი, XIX და XX საუკუნეების) უმთავრეს პრობლემურ საკითხებზე. იგი მიიღებს არა მარტო სათანადო მეცნიერულ ინფორმაციას ზემოთქმულთან დაკავშირებით, არამედ მაღალ პროფესიულ დონეზეც გაერკვევა ქართული ლიტერატურის ისტორიის არსსა და ქართველი კლასიკოსი მწერლების შემოქმედების უმთავრეს პრობლემატიკაში, რაც გაანალიზებული იქნება ევროპული ლიტერატურის კონტექსტში.

არჩევითი კურსები

კურსის კოდი: HSB0041

კურსის დასახელება: **პოლონური ენა** (5 კრედიტი).

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტის პროფესიული დაოსტატების პროცესი მიზნად ისახავს მეორე სლავური ენის - პოლონურის ლინგვისტური, კომუნიკაციური და ლინგვოქვეყნათმცოდნეობითი კომპეტენციების გაღრმავებას. ზეპირი და წერილი მეტყველების პრაქტიკული კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტი უნდა ფლობდეს ენის ცოდნისა და უნარ-ჩვევათა ისეთ მოცულობასა და დონეს, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს ნორმატულად, გამართულად და ფუნქციურად ადეკვატურად გამოიყენოს სამეტყველო აქტივობის ყველა სახეობა. მან უნდა შეიქმნას საფუძველი პოლონური ენის ცოდნის შემდგომი (მაგისტრატურა), პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფისათვის.

კურსის კოდი: HSB0031

კურსის დასახელება: **მხატვრული ტექსტის ანალიზი** (5 კრედიტი).

კურსის „მხატვრული ტექსტის ლინგვისტური ანალიზი“ მიზანს წარმოადგენს მხატვრულ ტექსტში ენის სისტემის სხვადასხვა ელემენტების ფუნქციონირების შესწავლა, ლიტერატურული ნაწარმოების ნიშან-თვისებათა აღწერა-გაანალიზება და მათი განხილვა გრამატიკულ კატეგორიათა რანგში.

კურსში განიხილება: მხატვრული ტექსტის სპეციფიკა, მისი ანალიზის ექსტრალინგვისტური პარამეტრები, ტექსტის კატეგორიები; ენის სისტემის სხვადასხვა დონის ერთეულების აქტუალიზების სეციფიკა პოეტურ, პროზაულ და დრამატურგიულ ნაწარმოებებში; თხრობის ტიპები, ფორმები და ხერხები.

კურსის შესწავლისას სტუდენტები ეუფლებიან მხატვრული ტექსტის მრავალმხრივი ლინგვისტური ანალიზის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც სრულყოფს მათ პროფესიონალურ მომზადებას.

კურსის კოდი: HSB0221

კურსის დასახელება: **თარგმნის თეორია და პრაქტიკა** (5 კრედიტი).

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების მთავარი ეტაპები რუსეთსა და საქართველოში; მიაწოდოს აუცილებელი თეორიული ცნებები და გამოუმუშაოს მათ სხვადასხვა ტიპის ტექსტების თარგმნის პროცესში შინაარსის, სათარგმნი ტექსტების მასალის ხასიათისა და ორივე ენის გამომსახველობითი თავისებურებების გათვალისწინების პრაქტიკული ჩვევები.

კურსის კოდი: HSB0093

კურსის დასახელება: **რუსული სალიტერატურო ენის ისტორია** (5 კრედიტი).

კურსის ძირითადი მიზანია სტუდენტებს გააცნოს რუსული სალიტერატურო ენის ისტორიული პერიოდები და ეტაპები, მისი განვითარების პროცესი და ძირითადი ტენდენციები. წარმოდგენილი არის ყველა იმ რუსი მწერლისა და პოეტის ენა, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინა თანამედროვე რუსული

სალიტერატურო ენის ფორმირებაზე. კურსი მოიცავს პერიოდს მე-11 საუკუნიდან თანამედროვეობამდე.

კურსის კოდი: HSB0081

კურსის დასახელება: **რუსული ლიტერატურული კრიტიკა** (5 კრედიტი).

კურსის შესწავლის საფუძველზე სტუდენტებს უყალიბდებათ გარკვეული თეორიული ცოდნა რუსი კრიტიკოსების, ლიტერატურული მიმდინარეობების და კრიტიკული სკოლების შესახებ. მათ მოეწოდებათ ინფორმაცია რუსი მწერლების შემოქმედების ახლებური შეფასებისა და წაკითხვის თაობაზე. კურსის შესწავლა დაეხმარება სტუდენტს ლიტერატურული ნაწარმოების დამოუკიდებლად განხილვასა და სწორი დასკვნების გაკეთებაში.

კურსის კოდი: HSB0011

კურსის დასახელება: **ფოლკლორი** (5 კრედიტი).

ფოლკლორის კურსი გვაძლევს წარმოდგენას რუსული ფოლკლორის ფორმირების ძირითადი ეტაპების შესახებ. კურსში განიხილება რუსი ხალხისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებები, ჟანრობრივი კლასიფიკაცია და გავლენა ლიტერატურაზე. კურსი ეყრდნობა ეთნოგრაფიას, მსოფლიო ისტორიას, ესტეტიკას. ადგილი ეთმობა ტიპოლოგიის პრობლემებს მონათესავე სლავურ ზეპირმეტყველობასთან და აგრეთვე ქართველთან.

8. სტუდენტთა შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება მე-6 პუნქტის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. სტუდენტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერჩააზარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.